

ფაქტობრივი გარემოებები

საწარმოს საბაჟო საწყობში შედის როგორც დატვირთული, ასევე ცარიელი სატრანსპორტო საშუალებები. საწარმო საბაჟო საწყობში დგომის ღირებულებას ბეგრავს დღგ-ის 0%-იანი განაკვეთით, რამდენადაც თვლის, რომ ეწევა საერთაშორისო გადაზიდვასთან დაკავშირებულ მომსახურებას

ვარიანტი 1:

სატრანსპორტო საშუალება, როგორც საქონელი არ არის განკუთვნილი იმპორტისათვის, ასევე არ არის მოქცეული ექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმში

ვარიანტი 2:

სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ტვირთი არ არის განკუთვნილი იმპორტისათვის, ასევე არ არის მოქცეული ექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმში

ვარიანტი 3:

სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ტვირთი მოქცეულია ექსპორტის/ტრანზიტის რეჟიმში

ვარიანტი 4:

სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ტვირთი განკუთვნილია იმპორტისათვის

შეფასება

სსკ-ის 233-ე მუხლის მიხედვით, დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა გათვალისწინებულია მხოლოდ ტრანსპორტირებისათვის **(საერთაშორისო გადაზიდვისათვის)** განკუთვნილი ტვირთის შენახვის, შეფუთვის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის მომსახურებისათვის

პირველ, მე-2 და მე-4 ვარიანტებში, მომსახურება ექვემდებარება დღგ-ის 18%-ით დაბეგვრას.

შემცირებულია საწარმოს მიერ დღგ-ს 18 %-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა

ღონისძიებები

პირველ, მე-2 და მე-4 ვარიანტებში, საწარმოს დამატებით დაერიცხება დღგ-ის ძირითადი გადასახადი

საწარმო დაჯარიმდება დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის (სსკ-ის 132-ე მუხლი)